ხელშეკრულება #161

ქ. თბილისი 29 ივნისი 2015 წელი

ერთი მხრივ, **საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი** (შემდგომში "**შემსყიდველი**") მისი თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ნაცვლიშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ორისი"** (შემდგომში „**მიმწოდებელი**") მისი დირექტორის დავით გოთოშიას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საჭიროებისათვის საბუღალტრო პროგრამა ორის მენეჯერის სერვერისა და 17 სამუშაო ადგილის (ქსელში), ლიცენზიის განახლება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (საფუძველი: "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი) CPV72200000.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია საბუღალტრო პროგრამა ორის მენეჯერის სერვერისა და 17 სამუშაო ადგილის, ლიცენზიის განახლება. შესყიდვის ობიექტების აღწერილობა, რაოდენობა, საცალო და საერთო ღირებულება განისაზღვრება პროფორმა ინვოისის შესაბამისად.

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნული დანართი 1 (ერთი) ფურცლად წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტების ფასი განისაზღვრება ეროვნული ლარით.

3.2. შესყიდვის ობიექტების საერთო ღირებულება შეადგენს 18,053.35 (თვრამეტიათას ორმოცდაცამეტი ლარი და 35 თეთრი) ლარს. მათ შორის

3.2.1 სერვერის ლიცენზიის განახლება MSL/U- 1,359.67 (ერთი ათას სამასორმოცდაცხრამეტი ლარი და 67 თეთრი) ლარი;

3.2.2 15 სამუშაო ადგილის (ქსელში) ლიცენზიის განახლება MN1/U – 16,693.68 (თექვსმეტიათას ექვსასოთხმოცდაცამეტი ლარი და 68 თეთრი) ლარი.

3.3. ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოსაკრებელი და გადასახადი.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტების მიწოდების ვადა განისაზღვრება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია მიმწოდებელის ფაქტიური მისამართი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12ბ.

4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.1. პუნქტში აღნიშნული უფლებამოსილი პირია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი და საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსი.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ლარში.

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების, საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტზე ორმხრივად ხელმოწერიდან არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. პროგრამის ერთკომპიუტერიანი ვერსიის ლიცენზიის შემთხვევაში, შემსყიდველს აქვს უფლება იმუშაოს ერთ კომპიუტერზე, ან ქსელური ლიცენზიის შემთხვევაში – ლოკალურ ქსელში ჩართულ შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერზე.

7.5. კომპიუტერული პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოადგენს შპს „ორისი"-ს საკუთრებას და დაცულია კანონით. ყველა უფლება პროგრამაში ინტეგრირებულ Microsoft Visual Basic for Applications-ზე ეკუთვნის კომპანია Microsoft-ს.

7.6 მომხმარებლის მიერ პროგრამის შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში შპს ორისი უზრუნველყოფს პროგრამის კომპიუტერზე დაყენებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებულ სატელეფონო და საკონსულტაციო მომსახურებას შპს ორისის ტერიტორიაზე. შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში გაქვთ უფლება მიიღოთ პროგრამის განახლებული ვერსიები, იმ შემთხვევაში თუ პროგრამის განახლებული ვერსიები გამოშვებული იქნება შპს ორისის მიერ აღნიშნულ ვადაში.

7.7. პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოდგენილია "როგორც არის" ისეთი ფორმით და შეიძლება არ შეესაბამებოდეს შემსყიდველის ყველა მოთხოვნას. შპს ორისი არ გაძლევთ გარანტიას, რომ პროგრამა უშეცდომოა. შპს ორისი არანაირ ვითარებაში არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა, ფულად, პირდაპირ ან ირიბ დანაკარგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, იმ შემთხვევაშიც კი თუ შპს ორისი წინასწარ იყო ინფორმირებული ამგვარი დანაკარგების შესახებ. არანაირ ვითარებაში დანაკარგების ანაზღაურების თანხა არ შეიძლება აჭარბებდეს მომხმარებლის მიერ ფაქტიურად გადახდილ პროგრამის ღირებულებას.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარე იტოვებს უფლებას მოითხოვოს დამრღვევი მხარისაგან, ხოლო ამ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ორმხრივად ხელის მოწერის დღიდან 2016 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება და წარმოადგინოს ინსპექტირების აქტი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

12.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსი.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისთვის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, თუ:

ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

13.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. თქვენ შეგიძლიათ გადასცეთ სალიცენზიო უფლებები მესამე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარე თანახმაა შეასრულოს მოცემული სალიცენზიო ხელშეკრულების ყველა პირობა. ამ შემთხვევაში, თქვენ უნდა გადასცეთ მესამე მხარეს პროგრამა და სხვა თანმხლები მასალა, ხოლო თქვენს კომპიუტერზე წაშალოთ პროგრამის ყველა ასლი.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, ერთი ეგზავნება მიმწოდებელს, ხოლო ორი ინახება შემსყიდველთან რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16. მხარეტა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სასჯელაღსრულების დეპარტამენტი გორგასლის ქ. 83ა ს/კ 204404723 ,,საქართველოს ეროვნული ბანკი” ა/ა 200122900; ბ/კ 220101107 თავმჯდომარის მოადგილე /გიორგი ნაცვლიშვილი/	შპს „ორისი” მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12ბ, V სართ. ს/კ 206033754 ს/ს “საქართველოს ბანკი”-ს ც/ფ ბ/კ BAGAGE22 ა/ა GE88BG0000000120121601 ტელ: 2383994, 2384343 დირექტორი /დავით გოთოშია/

პროფორმა ინვოისი N 879

ტელ: 238-39-94
238-43-43

ORIS®

თარიღი 29.06.2015

მომწოდებელი 206033754 შპს ორისი

მისამართი 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N12ბ

ბანკი BAGAGE22, თბილისი სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი

ანგარიში GE88BG0000000120121601

გადამხდელი 204404723საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი

N N	საქონელი / მომსახურება	რაოდენობა	ერთეული	ერთეულის ფასი	თანხა დღგ-ს გარეშე	დღგ		თანხა დღგ-ს ჩათვლით
						განაკვეთი	თანხა	
1	ORIS-მენეჯერი სამუშაო ადგილის (ქსელში) ლიცენზიის განახლება MN1/U	17	მომსახურება	832.19	14,147.19	18	2,546.49	16,693.68
2	ORIS-მენეჯერი სერვერის ლიცენზიის განახლება MSL/U	1	მომსახურება	1,152.26	1,152.26	18	207.41	1,359.67
					15,299.45		2,753.90	18,053.35

თანხა 18,053.35 GEL თვრამეტი ათას ორმოცდაცამეტი ლარი და 35 თეთრი

შეთავაზება ძალაშია 3 დღის განმავლობაში

დირექტორი დავით გოთოშია